საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორც ბოლდვუტი სიფცუკაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 14 მარტი. 2022 წ. №37 (9375) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

ქვეყნის მოღალატეს სქესი არა აქვს!

სამშობლოს ღალატისთვის ხატზე გადასაცემი ხატია ბევრმა, სრულიად „დამსახურებულად“, იმ შიკრიკს შეადარა, აღა მაჰმად ხანის ლაშქარი რომ შემოაბრუნა, ერეკლეს მეზარბაზნეები არ ჰყავსო.

3

ქართული პოლიტიკური საროსკიპოები

მოღალატე ნაცბანდის მოღალატე შიკრიკმა კი ტყუილი ამბავი მიიტანა იქ, სადაც, მისი კოლექტიური დამკვეთის ფიქრით, ამ ტყუილს ელოდნენ და ამის გამო ზიანი მოკლევადიანი იქნება, რადგან ტყუილს მოკლე ფეხი აქვს. უფრო ქართულ-ხალხურად რომ ვთქვათ, ნაცმავნებლებმა ფეხები ვერავის მოსჭამეს, თავი კი სერიოზულად დაიზიანეს...

რუსმა ოკუპანტებმა უკრაინაში უკვე 85 ბავშვი შეიწირეს!

„13 მარტის დილის მდგომარეობით, უკრაინაში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული აგრესიის შედეგად 85 ბავშვი დაიღუპა და 100-მდე დაიჭრა. ყველაზე მეტი მსხვერპლი კიევის, ხარკოვის, დონეცკის, სუმის, ხერსონის, ნიკოლაევისა და ჟიტომირის რაიონებში იყო“, — ინფორმაციას უკრაინის გენერალური პროკურატურა ოფიციალურ ტელეგრამარხზე ავრცელებს. უწყების ცნობით, უკვე 400-მდე სასწავლო დაწესებულებაა დაბომბილი, აქედან 57 მთლიანად განადგურდა.

„ეს მაჩვენებლები არ არის საბოლოო, რადგან ჯერ ვერ მოხერხდა ისეთი ადგილების შემოწმება, სადაც რუსეთის შეიარაღებული ძალები აწარმოებენ აქტიურ საომარ მოქმედებებს, ასევე — დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე“, — აღნიშნულია განცხადებაში.

რომის პაპი: გთხოვთ, შეაჩერეთ ეს ხოცვა-ჟლეტა



ბავშვთა საავადმყოფოების და სამოძალაძო სამიზნეების დაბომბვა არის ბარბაროსობა და არავითარი სტრატეგიული მიზეზი არ გააჩნია, — ამის შესახებ რომის პაპმა ფრანცისკემ განაცხადა. კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელის თქმით, მიუღებელი შეიარაღებული აგრესია უნდა შეჩერდეს.

„ღვთის სახელით, დაე, შესმენილ იყოს ტანჯული ხალხის ტირილი და შეწყდეს დაბომბვები და თავდასხმები. ღვთის სახელით გთხოვთ: შეაჩერეთ ეს ხოცვა-ჟლეტა“, — თქვა რომის პაპმა.

4 პუტინი ჯოჯოხეთს უახლოვდება!

4

ბირთვული შანტაჟი

კაცი, 2 რომლისთვისაც არავის სცხელა, პოლიტიკურ შაპიტოს დგამს

უკრაინაში 51 წლის ჟურნალისტი მოკლეს

უკრაინაში, ირპინში, ოკუპანტებმა ჟურნალისტი მოკლეს, — ინფორმაციას კიევის ოლქის პოლიციის სამმართველოს უფროსი ანდრეი ნებიტოვი ავრცელებს.

„ოკუპანტები ციინიკურად ხოცავენ საერთაშორისო მედიის ჟურნალისტებსაც კი, რომლებიც ცდილობენ აჩვენონ სიმართლე უკრაინაში რუსული ჯარების სისასტიკის შესახებ. დაშავებულია კიდევ ერთი ჟურნალისტი“, — წერს უკრაინის ეროვნული პოლიციის წარმომადგენელი. კორესპონდენტი **ბრენტ რენაუდი** 51 წლის იყო.



დაუზუსტებელი ინფორმაციით, ის ომში დამოუკიდებელი ჟურნალისტის სტატუსით მუშაობდა და დოკუმენტური ფილმის მომზადებას გეგმავდა.

მირგოროდელი გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთას“ მოტივებზე

შალვა პაპუაშვილი რადას თავმჯდომარეს მიმართავს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარეს **რუსლან სტეფანჩუკს** წერილით მიმართავს.

„თქვენ მიერ ცოტა ხნის წინ საქართველოს პარლამენტის წევრებისთვის მომზადებულ ვიდეომიმართვაზე პასუხად, გიდასტურებთ ჩვენს სრულ მხარდაჭერას უკრაინელი ხალხის, უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, საქართველოსა და უკრაინას სტრატეგიული პარტნიორობა და საუკუნოვანი ისტორიული მეგობრობა აერთიანებთ, ჩვენ ვიზიარებთ საერთო ღირებულებებსა და ხედვას ჩვენი ქვეყნების ევროპულ და ევროატლანტიკურ მომავალთან დაკავშირებით.

1990-იანი წლების დასაწყისში და შემდგომ — 2008 წელს საქართველომ საკუთარი სისხლის ფასად პირველმა გამოსცადა რუსული სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია, ათწლეულებია გრძელდება რუსული ოკუპაცია, რომელსაც ჩემი ქვეყნისა და ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის ყოველდღიურად ტრაგიკული შედეგები მოაქვს, დღეს კი უკრაინაში ვართ მომსწრე რუსეთის კიდევ ერთი სრულმასშტაბიანი აგრესიისა.

საქართველო ყოველთვის გამოხატავდა ერთგულებას ჩვენი მოძმე უკრაინისადმი, განსაკუთრებით, 2014 წელს რუსეთის მიერ თქვენ წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდეგ, ამ ისტორიულმა უსამართლობამ ჩვენი ქვეყნების ბედი ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა, სწორედ ამიტომ, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, ყველაფერს ვაკეთებთ თქვენი დახმარებისთვის, ომისა და აგრესიის შეჩერებისა და ნატოსა და ევროკავშირისკენ ჩვენი საერთო მომავლის გზაზე დაბრუნებისთვის.

საერთაშორისო არენაზე საქართველო პოლიტიკური და დიპლომატიური ძალისხმევით უკრაინის მხარდაჭერის წინა ხაზზე დგას, ჩვენ თქვენ გვერდით ვიდექით რუსეთის შეჭრის დაგმობით გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში — რუსეთის ომის დანაშაულების გამოძიების მოწოდების თანაავტორობით, ევროპის საბჭოში — რუსეთის მონაწილეობის შეჩერების მხარდაჭერით,

ამიტომ გულდაწყვეტილები ვართ, რომ პოლიტიკურმა სპეკულაციებმა და აბსოლუტურ დეზინფორმაციაზე დაფუძნებულმა კამპანიებმა ჩრდილი მიაყენა საქართველოს მხრიდან უკრაინისადმი მტკიცე და უანგარო მხარდაჭერას და სოლიდარობას, ბრალდება საქართველოს მიერ უკრაინის მხარდაჭერის გზიდან გადახვევასთან დაკავშირებით, უბრალოდ, არ შეესაბამება სიმართლეს.

ბატონო თავმჯდომარევ, დარწმუნებული იყავით, რომ ქართველი ხალხი და საქართველოს ხელისუფლება ვართ ერთიანი, და არა დაყოფილი, უკრაინისადმი მხარდაჭერასთან დაკავშირებით და ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ თქვენს თანადგომას“, — ნათქვამია წერილში.

უკრაინის საელჩო:

საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა უზრუნველყონ ყველა შესაძლო მხარდაჭერა და დახმარება უკრაინის მოქალაქეების მიმართ

„საქართველოს მთავრობა და ადგილობრივი თვითმმართველობები აკეთებენ ყველაფერს, რომ უზრუნველყონ ყველა შესაძლო მხარდაჭერა და დახმარება უკრაინის მოქალაქეების, რომლებსაც იძულების წესით უწევთ გაქცევა როგორც თავიანთი სამშობლოდან, ასევე რუსეთის ფედერაციიდან უკრაინა-რუსეთის ომიდან გამომდინარე. ვიმედოვნებთ, რომ საქართველო მათ სათანადო დახმარებას გაუწევს და უზრუნველყოფს მათ საცხოვრებელს“,** — განაცხადა საქართველოში უკრაინის საელჩოს წარმომადგენელმა, ანდრეი კასიანოვმა. მისი თქმით, უკრაინის მოქალაქეები და ქართული ბიზნესსექტორი საქართველოში, აგროვებენ თანხებსა და ჰუმანიტარულ დახმარებას.

„ეს არის საკვები პროდუქტები, წამლები, სამედიცინო საშუალებები, ჰიგიენის საშუალებები და ტანსაცმელი უკრაინის მოქალაქეების მხარდასაჭერად, შეიარაღებული ძალებისათვის და ტერიტორიული თავდაცვის ძალებისთვის. ასევე დიდ მადლობას ვუცხადებთ საქართველოს ეკლესიას იმ დახმარებისთვის, რაც მან გაუწია უკრაინას. იმ თანხებით, რომელიც უკრაინის საელჩოს ანგარიშზე საქართველოში იქნა დარიცხული, საკვები პროდუქტების შეძენა მოხდა, რომელიც აუცილებლად საჭირო იყო უკრაინის მოქალაქეებისთვის, უკრაინის გმირებისთვის და ჯარისკაცებისთვის. ის ტვირთი, რომელიც ქართველი ხალხის თანხებით იყო შეძენილი უკრაინელებისთვის, უახლოეს დღეებში იქნება გადაგზავნილი უკრაინაში. საქართველოდან უკრაინაში საერთო ჯამში, 275 ტონა ჰუმანიტარული დახმარება გაიგზავნა. გაიგზავნა ჰუმანიტარული დახმარების ორი თვითმფრინავი, ასევე 16 სატვირთო. საქართველოდან, ჰუმანიტარული დახმარების სახით, საერთო ჯამში 275 ტონა ჰუმანიტარული დახმარება იქნა გაგზავნილი დღესდღეობით უკრაინაში. ძალიან დიდ მადლობას ვუცხადებთ ქართველერს ამ დახმარებისათვის, უკრაინელი მოქალაქეებისთვის საქართველოში, ასევე საქართველოს მთავრობას“, — განაცხადა კასიანოვმა.

მან საკუთარი სიტყვა ქართულად დაასრულა. **„უკრაინას გაუმარჯოს! საქართველოს გაუმარჯოს!“,** — თქვა საელჩოს წარმომადგენელმა.

დღეს პარლამენტი პრეზიდენტს მოუსმენს!

„ძართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა გაიმართა. როგორც მმართველი პარტიის გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, უმრავლესობის წევრებმა მომავალ სასესიო კვირაში განსახილველ საკითხებზე იმსჯელეს.

„საუბარი შეეხო უკრაინის გარშემო მიმდინარე მოვლენებს, საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ყოველწლიურ მოხსენებას საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელიც 14 მარტს გაიმართება, 17 მარტს, „მინისტრის საათის“ ფორმატში შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის მოსმენას, ასევე მიმდინარე საკითხებს“, — აღნიშნულია პარტია „ქართული ოცნების“ ინფორმაციაში.

კაცი, რომლისთვისაც არავის სცხელა, პოლიტიკურ შაპიტოს დგამს

რუსეთ-უკრაინის ომმა სააკაშვილის საკითხი დღის წესრიგიდან გააქრო



უყურადღებოდ დარჩენილმა ექს-პრეზიდენტმა, **მიხეილ სააკაშვილმა** მორიგ ტრიუკს მიართა - ამჯერად, მეორედ გამოცხადებული 20-დღიანი შიმშილობა შეწყვიტა. ამის შესახებ, მან სოციალურ ქსელში დაწერა და შიმშილობის შეწყვეტის მიზეზიც ახსნა: **„იმ დროისთვის, როცა სიმართლის მომენტი დადგება, ჩემთვის სოხუმის მშვიდობიანი დაბრუნების გზა გადის კიევზე, საქართველოს გათავისუფლება და აყვავება გადის კიევზე. ახლა ჩვენ გვჭირდება არა დასუსტება, არამედ ძალის მოკრება, რომელიც მალე ძალიან გამოგვადგება. ეს შემეხება მეც.**

მივიღე წერილი იმ ქართველი მებრძოლებისგან, რომლებიც 2014 წლიდან იცავენ უკრაინას, რომლებითაც ძალიან ვამაყობ და მათთან ვმეგობრობ. ისინი მთხოვენ, შევწყვიტო შიმშილობა და რაც შეიძლება სწრაფად, ძალების სრული მოკრებით ჩავერთო ბრძოლაში. იგივე თხოვნა მოდის უკრაინის უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლებისგან, რომლებთანაც მუდმივ კონტაქტზე ვარ, ამიტომ, მე-20 დღეს მე შევწყვეტ შიმშილობას“, — დაწერა სააკაშვილმა.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** აცხადებს, რომ უკრაინაში არსებული ომის გამო, სააკაშვილი ყურადღების ცენტრში აღარ იმყოფება, მას კი სწორედ ყურადღების მიქცევა უყვარს, სწორედ ამიტომ მიმართა აღნიშნულ ხერხს, როგორიც არის შიმშილობის შეწყვეტა.

„სააკაშვილის მხრიდან შიმშილობის შეწყვეტა არის მორიგი პოლიტიკური შაპიტო. იმ ფონზე, როდესაც მსოფლიო ჩართულია ჰიბრიდულ მესამე მსოფლიო ომში, ახლა სააკაშვილისთვის არც საქართველოში და არც უცხოეთში არავის სცალია. სააკაშვილს ყურადღება მოაკლდა და ახლა ცდილობს ყურადღება მიიქციოს. არც ერთ სტატიაში, არცერთ „ტვიტში“ მისი ხსენება არაა და სააკაშვილი ახალ-ახალ გიჟურ იდეებს იგონებს. მას დღემდე მიაჩნია, რომ უკრაინის მაღალჩინოსანია და საკანში ათასგვარი საქმეებით არის დაკავებული. შეიძლება თქვას, რომ მას პრეზიდენტმა ბაიდენმა დაურეკა, ან შარლ მიშელმა და სხვა ასეთ ტრაგიკული ტყუილები მოიგონს. ეს ყველაფერი ადამიანურ სიბრალულს იწვევს, ერთ დროს აქტიური პოლიტიკოსი, ახლა ყველასგან მიტოვებულია, მათ შორის მისი მიმდევრებისგანაც. მას ციხეში ყოფნა კიდევ დიდხანს მოუწევს და მისი ხასიათი კიდევ უფრო დამძიმდება“, — განაცხადა **გია აბაშიძემ.**

„სააკაშვილისგან ჩვენ ასეთ გამოხტომებს მიჩვეულები ვართ. ყველას გვახსოვს, პირველი, თითქმის 55-დღიანი შიმშილობა, რომელიც მსოფლიოს ისტორიაშიც იშვიათი მოვლენაა და ეს შიმშილობაც ისე დასრულდა, თითქოს მთელმა მსოფლიომ სთხოვა, რომ შიმშილობა შეეწყვიტა“, — ასე აფასებს ანალიტიკოსი **ლადო ბოჟაძე** ექსპრეზიდენტის შიმშილობის შეწყვეტას და დასძენს: **„მეორე შიმშილობის დაწყებისას თავიდან სულ სხვა პოლიტიკური მოთხოვნები ჰქონდა, მაგრამ შემდეგ რუსეთმა ომი დაიწყო და ბუნებრივია, არც სააკაშვილი და არც მისი შიმშილობა აღარავის ახსოვდა. მას ნაშიმშილარის რა ეტყობოდა? სასამართლო პროცესზე ვნახეთ, რომ მისი ფიზიკური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა შესანიშნავია. უკრაინა, რომელიც ახლა ომშია და ამდენი უბედურები ხდება, ვინმეს სცალია იქ რომ სააკაშვილს უთხრას, შიმშილობა შეწყვიტეო? აქაც ეცადა, რომ ორი კურდღელი დაეჭირა — პირველი, შიმშილობა შეწყვიტა არა იმიტომ, რომ სუსტად არის, არამედ თურმე მთელი უკრაინა მას ეხვეწება. მეორე — ხაზს უსვამს, რომ თურმე ის მნიშვნელოვანი ფიგურაა.**

ასევე, ჩვენ ვხედავთ რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, საქართველოში „ნაციონალური მოძრაობა“ რას აკეთებს. მათი ქმედებები ჩვენი ქვეყნის დისკრედიტაციას ემსახურება. მათ სურთ მინიმუმ, „ევრომაიდანისა“ და არეულობის მოწყობა, რადგან თითქოს საქართველოს პრორუსი ხელისუფლება ჰყავს. „ნაცმოძრაობას“ სურს, რომ საქართველო ომში ჩაერთოს. გვახსოვს პირველ დღეებში უკრაინის მხარდასაჭერად გულწრფელად რამდენი ადამიანი გამოვიდა, მერე ეს აქცია „ნაცმოძრაობამ“ „ფრიი მიშას“ აქციად გადააკეთა.

ისევ მიშას რომ დავუბრუნდეთ, თითქმის ორი კვირაა რაც უკრაინაში ომი მიმდინარეობს და სააკაშვილისთვის კი შიმშილობის მეოცე დღე გამოვიდა. 5 მარტს ჰქონდათ დაგეგმილი, რომ აქცია უნდა გაემართათ მიშას გასათავისუფლებლად, მაგრამ შუალედში ომი დაიწყო, რომელმაც მსოფლიო შეცვალა. ახლა, უკრაინაში მიშა ვის ადარდებს, შეგვრჩა მოშიმშილე სააკაშვილი, რომელსაც არავინ ყურადღებას არ აქცევს. მისი ტელევიზიებიც კი აღარ უწერდნენ თუ რამდენი დღეა შიმშილობს. რუსეთ-უკრაინის ომმა სააკაშილის დღის წესრიგი ფიზიკურად გააქრო. ამიტომ, მისი ჭკუით მოიძებნა კარგი გამოსავალი, სუსტად კი არ არის, უბრალოდ, უკრაინელი ჯარისკაცები წერილს უგზავნიან, რომ არ იშიმშილოს. თუ ვინმემ რაიმე წერილი გამოუგზავნა, გამოაჩინონ და გვანახონ“, — გვითხრა **ლადო ბოჟაძემ.**

ქეთი გიორგაძე

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲝᲡᲙᲘᲞᲝᲔᲑᲘ

...ᲣᲜᲓᲐ ᲑᲝᲚᲘᲛᲘ ᲛᲝᲕᲣᲬᲐᲚᲝ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲡ ᲪᲘᲠᲙᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲝᲕᲜᲔᲚᲐᲓ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲑᲘᲯᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲣᲬᲔᲕᲗ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲛᲘᲜᲓᲐ ᲑᲝᲚᲘᲛᲘ ᲛᲝᲕᲣᲬᲐᲚᲝ, ᲓᲐᲣᲨᲘᲥᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲬᲠᲔᲨᲘ, ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲗᲣᲯᲙᲘ ᲠᲐᲛ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲬᲐᲛᲝᲛᲪᲓᲔᲜᲘᲐ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲘᲗ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲨᲔᲣᲓᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲕᲐᲛᲔᲑᲘ, „ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲐᲓ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲛᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲮᲕᲔᲭᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗ, ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲣᲨᲠᲝ ᲓᲐᲛᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘᲗ, ᲦᲘᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲨᲐᲠᲐᲕᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ, ᲗᲣ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲠᲔᲜᲐᲖᲔ.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲬᲧᲝᲑᲐ – „პოლიტიკური პროსტიტუცია“, ალბათ, საუკუნეებს ითვლის. აქამდე მეგონა, რომ ამ პროფესიის მიმდევრებზე და მათ საქმიანობაზე, ისტორიული წყაროებისა და ზეპირი გადმოცემების მეშვეობით, მეტ-ნაკლებად სრულყოფილ ცოდნას ვფლობდი, ყველა სახის უკადრებლის კადრების, ყველა ფსკერის შესახებ საკმარისად ვიყავი ინფორმირებული და ამ ვრცელი სიის ცნობილი ამბები მეგონა ამ სფეროში „წარმატებების“ ანი და ჰოე. **მეგონა, აქაც არსებობდა ე.წ. ადამიანური შესაძლებლობების ზღვარი,** როგორც, მაგალითად, რეკორდი შორს გადაფურთხებაში, ჰაერის საწინააღმდეგო მიმართულებით. **აღმოჩნდა, რომ ეს ის სივრცეა, სადაც შინაგანი, ანუ მორალური საზღვარი არ არსებობს,** რაც იმას გულისხმობს, რომ ქმედება კანონით (ან სხვა რამით) თუ არ არის შეზღუდული, „ნიჭი და გაქანება“ უსასრულობაში შეიძლება ჩაიკარგოს.

ცირკის მიმდებარე ტერიტორიის „ღამის პეპლები“, ნაცმოძრაობის, ანუ ნაცსაროსკიპოს და მისი „მიმდებარე ტერიტორიის“ წარმომადგენლებთან შედარებით, ფრთიანი ანგელოზები არიან. რაც ამ „პოლიტდაწესებულების“ გამორჩეულმა ლიდერმა, ხატია დეკანოიძემ იკადრა ორიოდ დღის წინ, „თუ სადმე სამართალი არსებობს“, ყველა რეკორდზე აღმატებულად უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკური პროსტიტუციის სფეროში, როგორც „სპორტული“, ისე გინესების კრიტერიუმებით. **ეს რომ გამონაკლისი შემთხვევა იყოს, ერთი ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაში შეიძლებოდა მოგვეძებნა ახსნა, მაგრამ ფაქტია, რომ მათი „ჩემი ხატიას“ „გმირული თავგანწირვა თუ მსხვერპლთშეწირვა“ შიგნით არავის დაუგმია.** საკამათოც არაა, აღნიშნული დუმილი იმის ნიშანია, რომ **თითოეული ფანჩატურელ-ალამუტელ-ერთქოლგქვეშელი სიამოვნებით იკისრებდა იმავე მისიას და მჯერა, გარკვეულწილად შურთ კიდევაც, ბედმა მათ რომ არ არგუნა ხატიას „პოზაში“ დგომა უკრაინელი „ჩამკითხველის“ წინაშე.** (ყურადღებას მიაქცევდით, არსად მითქვამს, ასეთი რამ მითუმეტეს ქალმა არ უნდა იკადროს-მეთქი, რადგან ქვეყნის მოღალატეს სქესი არა აქვს).

ცირკის მიმდებარე ტერიტორიის „ღამის პეპლები“, თუ ვინმეს აყენებენ ზიანს, მხოლოდ თავის თავს, სხვის უბედურებაზე არ აშენებენ თავის „ბედნიერებას“. სულ სხვაა ნაცპროსტიტუციის მასშტაბი და გარემოს და გარშემოყოფთა დაზიანების ხარისხი. **სამშობლოს ღალატისთვის ხატზე გადასაცემი ხატია ბევრმა, სრულიად „დამსახურებულად“, იმ შიკრიკს შეადარა, აღა მაჰმად ხანის ლაშქარი რომ შემოაბრუნა, ერეკლეს მეზარბაზნეები არ ჰყავსო.** აქ ერთი დეტალია მნიშვნელოვანი – იმ მოღალატე შიკრიკმა საიდუმლო გასცა, ანუ მართალი ამბავი მიიტანა და ამით დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას. **მოღალატე ნაცბანდის მოღალატე შიკრიკმა კი ტყუილი ამბავი მიიტანა იქ, სადაც, მისი კოლექტიური დამკვეთის ფიქრით, ამ ტყუილს ელოდნენ და ამის გამო, ზიანი მოკლევადიანი იქნება, რადგან ტყუილს მოკლე ფეხი აქვს.** უფრო ქართულ-ხალხურად რომ ვთქვათ, **ნაცმავნებლებმა ფეხები ვერავის მოსჭამეს, თავი კი სერიოზულად დაიზიანეს...**

ხსენებული ორი ისტორიის შედარებით ანალიზს ასეთ დასკვნამდე მივყავართ – **მიუხედავად იმისა, რომ აღა მაჰმად ხანთან დამსმენის ღალატმა ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა, დამსმენი ხატიას ღალატი უფრო ამორალურ ქმედებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ორმაგ კადრებაზეა დამყარებული.** აღნიშნულ შემთხვევაში, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ჩაშვების აქტის აღსრულებას თან ახლდა სიამოვნების ენით აუწერელი განცდა.

ისევ და ისევ პარალელისთვის – ზოგისთვის პრაქტიკული გამოცდილებით, ზოგისთვის კიდევ წიგნებიდან, ცნობილია, რომ **პოლიტპროსტიტუტკებისგან განსხვავებით, უძველესი პროფესიის წარმომადგენლებისთვის, მათთვის საარსებო (ზოგჯერ – სასიცოცხლო) მნიშვნელობის აქტი, თავისთავად, სიამოვნების მომგვრელ ქმედებას არ წარმოადგენს(!).**

თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია მის მიზეზ-შედეგობრივ კონტექსტზე საუბარი: ზემოთ აღვნიშნე, რომ ქმედება კანონით (ან სხვა რამით) თუ არ არის შეზღუდული, მისი დამაზიანებელი გავლენა შეიძლება ძალიან მძიმე შედეგების მომტანი იყოს. **ნაცმავნებლების ღალატის მასშტაბების ზრდა სწორედ იმით არის განპირობებული, რომ მათი „მოღვაწეობის“ პერიოდში ჩადენილი ყველაზე დიდი ღალატისთვის, სამშობლოს გამყიდველობისთვის, არ მოეთხოვათ კანონისმიერი პასუხი** (მათზე მორალური წნეხი და დამუნათებები არ ჭრის, რადგან ამ კატეგორიებიდან და პასუხისმგებლობისგან „დაბადებით თავისუფლები“ არიან).

ვითარებიდან გამოსავალიც სწორედ ამაში მდგომარეობს. აქამდე ვფიქრობდით, რომ 2008 წლის ომის გარემოებების შიდა გამოძიებას ევროგამოძიება აფერხებდა. ბუნებრივია, „იქაური“ შედეგები „აქაურზე“ მნიშვნელოვანი იქნებოდა, როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. იმ ავადსახსენებელი დღეებიდან თითქმის თოთხმეტი წელი გავიდა. **ევროპროკურორის დასკვნის ლოდინში, რომ იტყვიან, ცხოვრება დამთავრდა.** სამართალი ურმიდან გადაგორდა და სადღაც ორღობის ეკალბარდებშია გაჩხერილი.

Ე.წ. ტალიავინის კომისიის დასკვნისა და ევროსაბჭოს ცნობილი რეზოლუციის შინაარსიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ **აგვისტოს ომს ორი დამნაშავე ჰყავს – დიდი დამნაშავე, რუსეთის პუტინისტური რეჟიმის სახით და პატარა დამნაშავე, საპაკაშვილის კაგებეშნიკური ფესვების მძონე ნაცხროვის სახით,** მაგრამ სიმართლისთვის თავის დადგმას, ფაქტია, ევრომეგობრები არ ჩქარობენ.

რატომ და რისთვის? – ამის განხილვა შორს წაგვიყვანს და სასურველ შედეგს უფრო დაგვაშორებს. **შექმნილი ვითარება და აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი საფრთხეები გვავალდებულებს, გარკვეული ინიციატივები ჩვენ თავზე ავიღოთ.** რუსეთის ხელისუფლების დანაშაულების გამოძიება ჩვენ ძალებს აღემატება, მაგრამ ხელს არაფერი გვიშლის, ხელის გულზე გავარვარებული ნაკვერჩხალივით დადებულ, აუტანელი ტკივილის მომგვრელ ღალატს ავხადოთ ფარდა. მხედველობაში მაქვს ევროსაბჭოს ზემოხსენებული რეზოლუციის ქვეყნის დამაზიანებელი ჩანაწერების მხარდაჭერა ნაცდელეგაციის მიერ.

სავარაუდო დამნაშავეებს აუცილებლად მოუწევთ ძიების ორი სავარაუდო შედეგიდან ერთ-ერთის ალიარება: ან საძმე გვაძვს ღალატთან, რაც ომის დაწყებაში და საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ კასეტური ბომბების გამოყენებაში საკუთარი ძვეყნის უსაფუძვლო (უსამართლო) დადანაშაულებას გულისხმობს; ან ომის დაწყება და საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ კასეტური ბომბების გამოყენება შემდგარი ფაქტია და მის, ანუ მძიმე დანაშაულის იძულებით ალიარებასთან გვაძვს საქმე.

მართალია, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხარდამჭერი ვარ, ან იქნებ უფრო იმიტომაც, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხარდამჭერი ვარ, არ შემიძლია უკმაყოფილება არ გამოვხატო იმ გაუთავებელი პრეტენზიებისა და წამოძახებების გამო, რომელიც, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რამდენიმე წელია გვესმის მმართველი გუნდის ლიდერების მხრიდან ნაცმოღალატეების მისამართით. საზოგადოებისთვის ეს ყველაფერი თანდათან, დროთა განმავლობაში, იაფფასიან ბელეტრისტიკად იქცა. **როცა ხარ ხელისუფლება, არათუ შეგიძლია, არამედ გევალება იმოქმედო და შესაძლო კანონდარღვევა გამოააშკარავო, რადგან დაუსჯელი დანაშაული, როგორც წესი, ახალი დანაშაულების წყარო ხდება ხოლმე** და ამის მოწმე ვართ ყოველდღიურ რეჟიმში. „უკვე თოთხმეტი წელი გავიდა“, ვითარებას არ ცვლის და მომხდარზე შესაბამისი რეაგირების აქტუალობას არ ამცირებს. საქმე გვაქვს ისეთ დანაშაულთან, რომელიც დროში არ ძველდება.

ვიმეორებ, **ერთადერთი, რაც სიმართლისთვის ნათელის მოფენას სჭირდება, ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა.**

ხისტი მიდგომების მომხრე არასდროს ვყოფილვარ. შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, როცა ქალბატონი ევროპროკურორი „აგრძელებს მუშაობას“, ხოლო მისთვის განსაზღვრული დედლაინი უცნობია, **ყველაზე რაციონალურ და ყველაზე ქმედით მექანიზმად მესახება საქმის დაძვრა საპარლამენტო კომისიის ფორმატში** და შემდეგ, როგორც წესი, მოითხოვს – შეგროვილი მასალა გადაეცემა პროკურატურას და ა.შ. და ა.შ. ოღონდ **ეს ყველაფერი უნდა ხდებოდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში** – ისედაც ბევრი დრო დაიკარგა.

ეს ნაბიჯი, ერთი მხრივ, საზოგადოებაში განამტკიცებს რწმენას, რომ სამართალი აუცილებლად იზეიმებს და მეორე მხრივ, სავარაუდო დამნაშავეებს მიუჩენს თავის საკადრის ადგილს. გარდა ამისა, იმედია, ქალბატონი ევროპროკურორიც იძულებული გახდება, დააჩქაროს თაროზე შემოდებული პროცესი. თუ არადა, ღმერთმა თავის გზაზე გაუმარჯოს, ჩვენ პრობლემებს თვითონ მივხედავთ.

მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ხელისუფლებას უნდა მოეთხოვოს, მედიის შესახებ დაპირებული კანონის ინიცირებაა. წალეკა მასობრივი საინფორმაციო სივრცე მორალურმა ძალადობამ, ცილისწამება იქნება ეს თუ შეურაცხყოფა.

მტრობა, სიძულვილი, ბილწსიტყვაობა, შუღლის თესვა და ისევ და ისევ ღალატი – აი, დღევანდელი ქართული „ჟურნალისტიკის“ სახე და შინაარსი. ეს არც სიტყვის თავისუფლებაა და არც გამოხატვის თავისუფლება. ეს არის უკიდეგანო ასპარეზი ქართული პოლიტიკური პროსტიტუციისთვის.

ამ ფონზე ქვეყანა ვერ განვითარდება!

ეს ყველაფერი უნდა დასრულდეს!

საბედნიეროდ, **ამ სფეროში არსებობს საუკეთესო ფრანგული და ბრიტანული გამოცდილება(!),** რომლის ქართულ რეალობაზე მორგებაც არ უნდა იყოს საძნელო საქმე.

ყველანი ვთანხმდებით, რომ ერთადერთი შიდა პრობლემა, რაც ხელს უშლის ქვეყნის ნორმალურ განვითარებას, ნაცმოძრაობის პოლიტიკური საროსკიპოა, თავისი სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა დანიშნულების მქონე მრავალი „ფილიალით“. ბევრი იტყვის და სამართლიანადაც, გარე მხარდაჭერა რომ არ ჰქონდეთ, საქმეს აქამდეც მოევლებოდაო. ისტორია გვასწავლის, ადრე თუ გვიან, წესის, კანონისა და სიმართლის წინაშე ყველა უძლური ხდება, მთავარია, დრო და მომენტი იყოს სწორად შერჩეული.

პოლიტიკური გარემოს გაჯანსაღების, ანუ მისი კარდინალურად შეცვლის რეცეპტები, როგორც ხედავთ, არსებობს. ამის მაგალითი ტრადიციული დემოკრატიის სახელმწიფოებია. ახლა ჯერი ხელისუფლებაზეა. საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ირწმუნა, რომ გასული წლის ნოემბერში დაწყებული დიდი მოლოდინების სამწლიანი (ყველა დონის არჩევნებისგან თავისუფალი) პერიოდი დიდი გარდატეხის პერიოდად იქცევა.

ᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲓᲕᲐᲚᲘ

სოსო ცინცაძე: არც ომი, არც მშვიდობა!..

ეს რუსეთის ტრადიციაა...



„ეს შანტაჟია, პუტინი ბირთვულ იარაღს არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებს. ევროპა კი ცას არ დაკეტავს. როგორც კი ზელენსკიმ თქვა, დამიხურეთო ცა, მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდა, რადგან ეშინიათ, შანტაჟი მოქმედებს მათზე“, – განაცხადა ანალიტიკოსმა **სოსო ცინცაძემ**.

– უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის თქმით, თუ ასე გაგრძელდება, დასავლეთი დახურავს უკრაინის ცას. ანუ შეიძლება საბოლოოდ ნატო მაინც იძულებული გახდეს, რომ ეს გააკეთოს?

– დასავლეთი ცას არ დახურავს. მთავარი პრობლემა დღეს უკრაინისათვის ცა არ არის. როგორც კი ზელენსკიმ თქვა, რომ დამიხურეთ ცა, მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდა. რადგან ეშინიათ, შანტაჟი მოქმედებს მათზე.

– ვიცით, რომ რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრება. როგორ ფიქრობთ, წავა პუტინი ამაზე?

– ეს შანტაჟია, პუტინი ბირთვულ იარაღს არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებს. რაც შეეხება ბირთული იარაღის გამოყენების საკითხს, შანტაჟის მსხვერპლი არა მხოლოდ ევროპელები აღმოჩნდნენ, არამედ ზოგიერთი ჩვენი ექსპერტიც. ორი თვის წინ, ყველა იყო კორონავირუსის სპეციალისტი, უფრო ადრე ფეხბურთის სპეციალისტი, ახლა ყველა გახდა სამხედრო და საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი.

შანტაჟი, ეს არ არის პუტინის რეჟიმის „ნოუ ჰაუ“. ბირთვული იარაღის გამოყენების საშიშროება მოდის რადიკალური ისლამისტებისგან. მსოფლიო გაერთიანებულია და ყველაფერს აკეთებს, რომ როგორმე შაჰიდების, ანუ თვითმკვლელების ხელში არ აღმოჩნდეს ბირთვული იარაღი. თვითონ პუტინი და მისი გარემოცვა, რომელმაც ნახა და გაუტკბა კარგი ცხოვრება დასავლეთში, დღეს მათი მთავარი საზრუნავი არის, როგორმე ნახონ ხვრელები, რომ მათ სანქციებს დააღწიონ თავი. პუტინი მზად რომ იყოს სიკვდილისთვის, თავი გაწიროს, თუ რუსეთი არ იქნება, მთელი მსოფლიოც ნუ იქნება, მაშინ თავის იახტას რატომ გადაიყვანდა კალინინგრადში?!

დღეს ბირთვული იარაღის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს და რადიკალ ისლამისტებს, რომლებიც მზად არიან, აიფეთქონ თავი. ეს უბრალოდ შანტაჟია.

– და მაინც, საბოლოოდ მივალთ მესამე მსოფლიო ომამდე?

– ნურავის ავიწყდება, რომ პუტინი ყველაფერთან ერთად, ჩეკისტია და ის ხრუშჩოვი არ არის, რომ თვალსა და ხელშუა, ისე მოუწყონ შეთქმულება, რომ თვითონ წარმოდგენა არ ჰქონდეს ამაზე. როგორც ჩანს, დღეს პუტინს კურსი აღებული აქვს უკონტაქტო ომზე და, რაც შეიძლება მეტი მატერიალური ზიანი მიაყენოს უკრაინიას.

დავუშვათ, პუტინმა გამოიყენა ბირთვული იარაღი, ამას დასავლეთი, ნატო და ამერიკა არ უპასუხებს? – ეს გამორიცხულია. დასავლეთი ყველანაირად ცდილობს თავი აარიდოს მესამე მსოფლიო ომს არა იმიტომ, რომ ეშინია რუსეთი დაგვამარცხებსო, 50-ჯერ ძლიერია ნატო რუსეთზე. კრემლმა დაამტკიცა, რისი თავი აქვს ახლა უკრაინაში.

– თქვენი აზრით, კიდევ რამდენ ხანს გაძლებს უკრაინა ამ ვითარებაში?

– ყოველი დღე უკრაინისთვის გმირობაა, მაგრამ რის ხარჯზე? – ბავშვები იღუპებიან. ზელენსკის მოვალეობაა მოსახლეობის დაცვა, რაც შეუძლებელია ამ დროს. ამიტომ, თვითონ უკრაინაც ყველანირად ცდილობს, რომ მიაღწიოს შეთანხმებას.

რუსეთსა და უკრაინას შორის კიდევ ერთი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. შესაძლოა მხარეები საბოლოოდ რამეზე შეთანხმდნენ?

– რუსეთმა მიაღწია, რომ უკრაინა, როგორც ჩანს, მზად არის დაიწყოს ნეიტრალიტეტზე საუბარი, ოღონდ გარანტიებს მივიღებო. გარანტიები ზღაპარია, რუსეთის გარანტიების ვის უნდა სჯეროდეს? თუ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებმა იმოქმედა 7-8 თვე, მაშინ კარგი, მაგრამ თუ ამ სანქციებმა 2-3 კვირა იმუშავა, რუსეთი ამას აიტანს. რაკვირველია, იქნება ფასების ზრდა, თუმცა რუსეთი ამ ფაზას გადაიტანს. თუ დაიწყო მოლაპარაკებები და პუტინმა ოდნავ შეამცირა თავისი მოთხოვნები, ზელენსკიზე იქნება ზეწოლა, როგორც ევროპიდან, ისე ამერიკიდან, რომ ზელენსკიმაც რაღაცები დათმოს. ომმა, მაქსიმუმ, ერთ თვეს გასტანოს, თუმცა პუტინი ცდილობს გადაიყვანოს ჩვეულ ფაზაში – არც ომი, არც მშვიდობა, ეს რუსეთის ტრადიციაა.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

პირთვული ჭანჭარი

მას შემდეგ, რაც რუსეთ უკრაინის ომი დაიწყო და რუსეთის ჯარმა ჩერნობილის ატომური სადგური დაიკავა, სპეციალისტები მსოფლიოს წინაშე არსებულ საფრთხეზე ალაპარაკდნენ. ეს საფრთხე მით უფრო რეალური გახდა, რაც დაკონსერვებული სადგურის გამაგრილებელ სისტემას დენის მიწოდება შეუწყდა და უკრაინულმა მხარემ მასზე კონტროლი დაკარგა. თუმცა ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ სადგურზე მისი სპეციალისტები შევიდნენ და ელექტროენერგიის მიწოდება უკვე აღდგენილია.

უკრაინის დაზვერვის ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გასცა ბრძანება ჩერნობილის ატომურ სადგურზე ტერორისტული თავდასხმის შესახებ, რომლის პასუხისმგებლობაც უკრაინას უნდა დაკისრებოდა!!!

„სახმელეთო სამხედრო ოპერაციიდან და პირდაპირი მოლაპარაკებებიდან სასურველი შედეგი რომ ვერ მიიღო, მსოფლიო საზოგადოების მხრიდან უკრაინის მხარდაჭერის გამო, პუტინი მზადაა, მიმართოს ბირთვულ შანტაჟს“, – აღნიშნულია დაზვერვის ინფორმაციაში

ქართველი სპეციალისტები ამბობენ, რომ საფრთხე არა მხოლოდ ჩერნობილის ელექტროსადგურიდან, არამედ ყველა იმ სადგურიდან მოდის, რომელიც უკრაინაში მდებარეობს. მათი თქმით, რომელიმე ატომურ ელექტროსადგურს რაკეტა ან ბომბი რომ მოხვდეს, ევროპა და მთელი მსოფლიო უდიდესი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება.

– რა ემუქრება საქართველოს, თუკი ატომურ სადგურებზე გაჟონვას ექნება ადგილი?

სპეციალისტების შეფასებით, გააჩნია, რა რაოდენობით მოხდება გაჟონვა და რადიაციის რა დონე გამოვლინდება. გაჟონვის შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეტეოროლოგიურ მდგომარეობას. მაგალითად, როგორ და სად წაიღებს რადიაციას ქარი, ნალექი. დაბინძურების გასაზომად კი ტექნიკურად კარგად აღჭურვილი ლაბორატორიებია საჭირო. მათი თქმით, მცირე გაჟონვაც რომ მოხდეს, სასწრაფოდ უნდა შემოწმდეს ნიადაგი, წყალი, ჰაერი, რა ნაწილაკები მოხვდა იქ.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, რადიაციის დონე ახლა საქართველოში ყოველწამიერად იზომება და ამ დროისათვის, საფრთხე არ არსებობს.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის დახმარებით, საქართველოს საზღვარი მთლიანად აღჭურვილია რადიაციის დეტექტორებით და რადიაქტიური ნივთიერების გამოვლენა ხდება ავტომატურად.

ენერგეტიკოსი **გია არაბიძე** მიიჩნევს, რომ უკრაინაში ჩერნობილის აფეთქების გარდა სხვა კიდევ 4 მოქმედი სადგურია, რომლებიც ასევე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ. არაბიძე ამბობს, რომ ვორონეჟის და სამხრეთ უკრაინაში მდებარე სადგურები მუშა მდგომარეობაშია და მათ რომ ერთი რაკეტა ან ბომბი მოხვდეს, კატასტროფა გარდაუვალი იქნება.

„ზაპოროჟიეს სადგური ახლა მუშა მდგომარეობაშია და ჩერნობილის სადგურთან ერთად, ისიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ჩერნობილთან დაკავშირებით ლუკაშენკო ამბობს, რომ საბჭოთა კავშირიდან მათ 110 კლვტ-ანი კაბელი აქვთ, რომლითაც ელექტროენერგიის მიწოდება შეუძლიათ. ეს შესაძლებელი იყო რომ გაეკეთებინათ. გარდა ამისა, ჩერნობილს ჰქონდა თავისი გენერატორები, რომლის მეშვეობითაც 48 საათში დენის მიწოდება შესაძლებელი იყო. ეს ტექნიკური საკითხებია, რომელიც უფრო იოლად გადაწყვეტადი და მოსაგვარებელია. აქ სხვა რაღაც მაწუხებს, საქმე ისაა, რომ არსებობს საფრთხე ჩერნობილის ელექტროსადგურზე რუსებმა რამე ცუდი არ ჩაიდინონ. რუსები ჩერნობილით მთელს მსოფლიოს ეუბნებიან, რომ ინციდენტს მოახდენენ და ეს უკრაინელი ე.წ. ნაცისტების ბრალი იქნება. უკრაინის სადაზვერვო სამსახური კი ამბობს, რომ პუტინი ჩერნობილის სადგურზე ინციდენტის მოწყობას აპირებს.

კატასტროფის მასშტაბი ჩერნობილში დიდი იმ შემთხვევაში იქნება, თუკი სარკოფაგის გახსნა თავიდან მოხდება. ნარჩენები მიწაშია ჩამარხული. იქ არის 25 სამარხი, რომლის გააქტიურებაც დამბომბვის შედეგად შესაძლებელია. მთავარი პრობლემა ის არის, რომ თუკი სამარხების და სარკოფაგების მართვის რეჟიმი დარღვეული იქნება, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები მივიღოთ“, – ამბობს ენერგეტიკოსი.

მისივე თქმით, ღმერთმა არ ქნას მუშა მდგომარეობაში მყოფი ზაპოროჟიეს სადგურზე რაღაც მოხდეს, მაშინ იმაზე უარესი მოხდება, რაც ჩერნობილის დროს მოხდა. პირველი კი დაზარალებულ ქვეყნებს შორის, რა თქმა უნდა, უკრაინა, ბელორუსი, რუსეთი და ასევე პოლონეთი იქნება. ყველაფერი კლიმატურ მდგომარეობაა დამოკიდებული, ქარი რადიაციულ ღრუბელს რა მიმართულებით და საით უფრო მეტს წაიღებს.

სამხედრო ანალიტიკოსი და ბრიგადის გენერალი **ამირან სალუქვაძე** ამბობს, რომ იმ დაძაბულობის ფონზე, რაც დღეს უკრაინაში მიმდინარეობს ატომური სადგურების ირგვლივ, საფრთხე იზრდება. სალუქვაძე ამბობს, რომ რთულია იმის განსაზღვრა, თუკი ჩერნობილის ატომური სადგურიდან გაჟონვა მოხდება, რა ხარისხის და დოზის რადიაციული დასხივება იქნება.

„გაჟონვა საფრთხეს ატარებს შავი ზღვის აუზისთვის და სხვა ნებისმიერი ქალაქისთვის. არა აქვს მნიშვნელობა უშუალოდ უკრაინას ესაზღვრება თუ არა ქვეყანა, გავლენა კატასტროფული იქნება. თავად ის ფაქტი, რომ უკრაინაში შეჭრისთანავე რუსებმა ჩერნობილის ელექტროსადგური დაიკავეს, კითხვის ნიშნებს ბადებს. ფაქტებით რასაც ვაანალიზებთ, ჩერნობილის რუსების მხრიდან დაკავება ევროპის და მთლიანად მსოფლიოს შანტაჟს ემსახურება. ალბათ, მიზანი ესაა და ვხედავთ, რომ რეალური საფრთხეები შესაძლოა გაჩნდეს. თუ ჩერნობილის ელექტროსადგურიდან გაჟონვა დაიწყო, ტრაგედიის მასშტაბები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის აფეთქება შეიძლება მოხდეს. ამაზე ასე საუბარი რთულია, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოს ამის გამოცდილება უკვე გააჩნია. იაპონიაში 1945 წელს გამოყენებული ბომბების შედეგად ორი ქალაქი განადგურდა! ასევე ვნახეთ უამრავი დაავადებული ადამიანი, რომლებიც წლების განმავლობაში სხვადასხვა დაავადებებით დაიღუპნენ. ამიტომ ამ მაგალითის გათვალისწინებით შეგვიძლია თეორიულად მაინც განვიხილოთ, რა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება მსოფლიო. აქ მარტო ევროპა არ დაზარალდება. დიდ ზიანს რუსეთი და მისი მოსახლეობაც მიიღებს“, – ამბობს ამირან სალუქვაძე.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მეგობრები – საქართველოს თავმჯდომარე **ნინო ჩხობაძე** აცხადებს, რომ ახლა ჩერნობილის ელექტროსადგურზე სპეციალური შიტია გაკეთებული, რათა გაჟონვა არ მოხდეს. ატომური სააგენტო კი ცდილობს ჩერნობილთან კავშირი აღადგინოს. ამისთვის ინტნსიური მუშაობა მიდის. იქ უამრავი დაკვირვების სადგურია, რომელიც ფონს აკვირდება და ამ ფონის მიხედვით ვითარების და საფრთხის პროგნოზირება ხდება. ამიტომ ეკოლოგი ამბობს, რომ საფრთხე დიდია, თუმცა უნდა ვირწმუნოთ, რომ ექსპერტები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რათა გადავრჩეთ.

რაც შეეხება საქართველოს, ჩხობაძე მიიჩნევს, რომ გაჟონვის შემთხვევაში საფრთხე საქართველოსაც ემუქრება, თუმცა ჩვენს ქვეყანაში არსებობენ სპეციალისტები, რომლებსაც ასეთ შემთხვევაში მოსახლეობისთვის რეკომენდაციების მიცემა შეუძლიათ.

ლიკა ბერიკაშვილი

პროფესორი ოთარ გამყრელიძე - 90



ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის არიან და მოღვაწეობენ ადამიანები, რომლებსაც ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვით ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს განვითარებაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ერთგვარად ჩრდილში დგანან თავმდაბლობისა გამო და კი არ ყელყელაობენ თავიანთი ღვაწლით, არამედ ჩუმად და უდრტვინველად განაგრძობენ მსახურებას საზოგადოებისა და ერის მომავლისათვის. ასეთ ადამიანთა კოჰორტას უთუოდ მიეკუთვნება ცნობილი ქართველი სამართალმცოდნე და ქართული სისხლის სამართლის გამოჩენილი მკვლევარი, გამორჩეული მოაზროვნე და აღმზრდელი, პროფესორი ოთარ გამყრელიძე.

დიდი მასწავლებლის ღირსეული მოწაფე

გავადევნოთ თვალი, საიდან დაიწყო და როგორ განვითარდა მისი სამოღვაწეო გზა. თავდაპირველად ის გარემოება უნდა აღინიშნოს, რომ ბატონმა ოთარმა, სანამ საბოლოოდ გადაწყვეტდა, იურისპრუდენციისთვის მიეძღვნა თავისი მომავალი, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სპორტშიც კი მოსინჯა თავისი შესაძლებლობები. ამ ძიებებისას, საბედნიეროდ, მან იპოვა ის გზა, რომელმაც მის დიდ ნიჭიერებასა და შრომისუნარიანობას გაუხსნა დიდ შესაძლებლობათა ასპარეზი, რაც მის მიერ სრულად იქნა გამოყენებული.

ოთარ გამყრელიძე 1963 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, რის შემდეგაც ის თავის სამოღვაწეო ასპარეზად უყოყმანოდ ირჩევს სისხლის სამართლის მეცნიერებას, რომელსაც მან შემდგომში მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უერთგულა და დღესაც მის სამსახურში დგას. იმავე წელს ოთარ გამყრელიძე იმ დროისათვის უკვე აღიარებული მეცნიერისა და ქართული სისხლის სამართლის სკოლის მესაძირკვლის, პროფესორმა თინათინ წერეთლმა მიიწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში სამუშაოდ, კერძოდ, სამართლის სექტორში ფართო სამეცნიერო საქმიანობის საწარმოებლად. იმ დღიდან ის ხდება თავისი დიდი მასწავლებლისა და მოღვაწის, პროფესორ თინათინ წერეთლის ერთგული მიმდევარი და ერთ-ერთი გამორჩეული შეგირდი, ამ ცნების ყველაზე მაღალი გაგებით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოთარ გამყრელიძეს არასდროს უფიქრია სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის მიტოვება და თავისი პროფესიული კარიერის გაგრძელება სახელმწიფო სამსახურში, ბევრად უფრო მაღალანაზღაურებად სამუშაოზე, მიუხედავად იმისა, რომ ის, თავის ოჯახთან ერთად, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, არაერთხელ მდგარა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა თუ სხვა ცხოვრებისეული სირთულეების წინაშე. ასეთ პირობებშიც კი ოთარ გამყრელიძე თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისას შეუპოვრად ადგა იმ მნიშვნელოვანი ღირებულებებით თანმიმდევრულად ხელმძღვანელობის გზას, რომლებსაც თავის მოწაფეებს შთააგონებდა პროფესორი თინათინ წერეთელი, როგორიცაა: დიდი პროფესიონალიზმი, ურყევი პრინციპულობა, მეცნიერული კეთილსინდისიერება, მაღალი მოქალაქეობრივი ღირსება, სამშობლოს სიყვარულის წარმოჩენა არა სიტყვებით, არამედ უანგარო მსახურებით, ადამიანებისადმი გულისხმიერება და გასაჭირში თანადგომა.

პროფესორ ოთარ გამყრელიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა შესანატრად ფართოა და ღრმა, რაც მოიცავს მრავალ მონოგრაფიასა და ასეულობით სამეცნიერო სტატიას, რომლებიც ეძღვნება სისხლის სამართლის ურთულეს პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის ყველაზე მნიშვნელოვან გზებს. თითოეული მისი ნაშრომი გამორჩეულია თუნდაც იმითაც, რომ ისინი ავტორის მიერ არ არის წარმოდგენილი, რაღაც განყენებული სქოლასტიკური მსჯელობების კრებულად, რაც პრაქტიკას არაფერში გამოადგება, მათში წარმოდგენილი ყველაზე რთული თეორიული განხილვები უაღრესად მნიშვნელოვანი და ფრიად სარგებლიანია სისხლის სამართლის პრაქტიკაში წამოჭრილი აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად. ამ ნაშრომებში მის მიერ განვითარებული მსჯელობები და ჩამოყალიბებული დასკვნები ყოველთვის არის დახვეწილი, სადა და ნათელი, ლოგიკურად მწყობრი და თანმიმდევრული, ურყევი არგუმენტებით ღრმად და საფუძვლიანად დასაბუთებული, მოკლებული ყოველგვარ ზედმეტსიტყვაობასა და უცხოური ტერმინებით კეკლუცობას, რაც სამაგალითოა ყველა ახალგაზრდა სამართალმცოდნისა და მკვლევარისთვის.

პროფესორი ოთარ გამყრელიძე თავის შემოქმედებით მოღვაწეობაში არ ჩაკეტილა მხოლოდ სისხლის სამართლის მეცნიერებისა და თეორიის ფარგლებში, ასევე დიდმნიშვნელოვანია მისი პუბლიცისტური ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება საზოგადოებრივ პრობლემებს, ქართული სამართლებრივი ენის სიწმინდის დაცვას, ანტიეროვნული ტენდენციებისადმი წინააღმდეგობის გაწევას, უკანონობის მხილებასა და ბრძოლას სამართლიანობის დასამკვიდრებლად. აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგიც – პროფესორ ოთარ გამყრელიძის შემოქმედებითი თვალსაწიერი და ინტერესები ფრიად ფართოა, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ იგი გვევლინება აგრეთვე როგორც უცხოური მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების შესანიშნავი მთარგმნელი, რაც ასევე დიდად ფასეულია.

ბატონო ოთარი არ წარმოგვიდგება მხოლოდ როგორც დიდი მასწავლებლის ღირსეული მოწაფე, არამედ ის თვითონაცაა დიდი აღმზრდელი და მოძღვარი მისი მადლიერი მოწაფეებისა, რომლებსაც ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში გზას უნათებს მისი პიროვნებიდან მომდინარე იმ დიდი სიკეთის შუქი, რასაც ის ყოველთვის უშურველად გასცემს მათთვის. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა კი უეჭველად წარმოადგენს იმ საიმედო საყრდენსა და საძირკველს, რაზეც ყოველთვის იდგება ახალგაზრდა იურისტთა არაერთი თაობა და რაც მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას მოახდენს მათ ჩამოყალიბებაზე მაღალი კლასის პროფესიონალ იურისტებად.

ამჯერად შეგნებულად ვიკავებთ თავს პროფესორ ოთარ გამყრელიძის სამეცნიერო ნაშრომების თუნდაც მოკლე მიმოხილვისგან, რადგან ამის ასე სახელდახელოდ გაკეთებას არ იმსახურებს მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელიც უაღრესად მრავალმხრივი და ღრმაა, რომლის განხილვა და ანალიზი დამოუკიდებელ, ფართო და საფუძვლიან მსჯელობას მოითხოვს მისი როლისა და მნიშვნელობის სათანადოდ წარმოჩენისთვის.

ამჟამად ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილების გამგე, სამართლის დოქტორი, პროფესორი ოთარ გამყრელიძე, რომელმაც უკვე ცხრა ათეული წელი მითვალა, კვლავაც მხნედაა და მწყობრშია, რაც დიდად სასიხარულოა. დაე, კიდევ დიდხანს იცოცხლოს მისმა გულმა და გონებამ, რომლის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა საზოგადოებისათვის უანგარო მსახურების, დიდი პროფესიონალიზმისა და ადამიანური ღირსების უბადლო მაგალითია.

ვულოცავთ ბატონ ოთარს დაბადებიდან 90 წლის შესრულებას და, ამასთანავე, გამოვხატავთ მის მიმართ განსაკუთრებულ მოკრძალებას, უსაზღვრო პატივისცემასა და უდიდეს მადლიერებას მის მიერ გაწეული ამაგისათვის.

ნინო გვენეტაძე, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი; **ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, ქ. იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი; **დავით სულაძველიძე,** თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ექსპერტი; **ელიკო წიკლაური,** სამართლის დოქტორი, ქ. ფრაიბურგის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის კოორდინატორი; **მერაბ ტურავა,** პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე; **თამარ ებრალიძე,** საქართველოს უნივერსიტეტისა და გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი; **თემურ ცქიტიშვილი,** სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი; **ედიშერ ფუტკარაძე,** სამართლის დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი.

„ფრთხილად, ქართველებო!“

დავგმოთ ურაპატრიოტიზმი

მრავალ ომგადატანილი ქართველი ხალხი ბრძენია. ერთი ჩვენი ანდაზისა არ იყოს: „თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო“, ისე არ დაგვემართოს, რომ ჩვენ, ადამიანებმა დათვი გამოვთხაროთ. არადა, აგერ, ზედ კარზეა მტაცებელი მომდგარი. ფრთხილად, თორემ რა საშინლად დატორვა იცის გაღიზიანებულმა დათვმა, არავის ესწავლება. დროა, ერთხელ და სამუდამოდ დავგმოთ ურაპატრიოტიზმი.

ხომ ყველა ვხედავთ, რომ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, არიან ძალები, რომლებიც შესაშური მონდომებით ცდილობენ ჩვენი ქვეყნის ჩათრევას რუსეთ-უკრაინის ომში. არ წყდება პროვაკაციები. ვურჩევთ, თავი გმირად ნურავის მოაქვს სხვის წასაქეზებლად. 10 წელიწადია მშვიდობით ვცხოვრობთ და ამას გაფრთხილება უნდა. თანადგომა გენში გვაქვს ქართველებს, მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ ნებისმიერი ნაბიჯი, რომ მოუზომლობით, ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა სიკეთის სამაგიერო, საკუთარ თავს დატეხილი უბედურებით არ ზღოს. მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი მამულიშვილის ჭაბუა ამირეჯიბის შეგონება: „ფრთხილად, ქართველებო!“

უფალი ჩვენთან არის, დიდება უფალს! დიდება საქართველოს! იბერია გადარჩება და გაბრწყინდება!

გურამ სალარაძე,
ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესიის სტიქაროსანი; აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს „არიერგარდის“ თავმჯდომარე.

გიორგი არჩემაშვილი:

მოძებნონ, მსოფლიო რუკაზე სად მდებარეობს მათი საცოდავი ქვეყანა!

საქართველო: ფართობი – 69 700, მოსახლეობა – 3 716 900;

უკრაინა: ფართობი – 603 700, მოსახლეობა – 44,6 მილიონი;

რუსეთი: ფართობი – 17 075 400, მოსახლეობა – 144 მილიონი;

* * *

ომის დაწყებიდან დღემდე, ანუ ორ კვირაში, უკრაინა დაახლოებით იმდენმა ადამიანმა დატოვა, რამდენიც ჩვენ ვართ ოფიციალური მონაცემებით და ქვეყანაში კიდევ 40 მილი-



ზოგს მსოფლიო რუკა თვალითაც, არ აქვს ნანახი, ვერ ხვდება რა მასშტაბებზეა საუბარი. მოძებნონ სად მდებარეობს მათი საცოდავი ქვეყანა, ყველა ხელისუფლების მიერ გაყიდულ-გაჩუქებული. გააცნობიერონ, რომ გმირობა მხოლოდ რუსთაველზე ფეხების ბაკუნი და ხმის ჩახლეჩამდე ღრიალი არ არის.

ის, რაც უკრაინაში ხდება, არის სრული კატასტროფა, ერთი ავადმყოფი დიქტატორის მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაული. მსოფლიოში გავლენებისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, ვიდრე კაცობრიობა გაიგებდა, რომ დედამიწა მრგვალი იყო. დასავლეთსა და რუსეთს შორის გავლენების მოსაპოვებლად დაწყებულ ომს დღეს მთელი უკრაინა ეწირება, ნადგურდება. სამწუხაროდ, ვერცერთი მაღალი დონის სამხედრო ექსპერტი ვერც ომის დასრულების დროს ასახელებს და ვერც მოსალოდნელ შედეგებზე საუბრობს. ცალკე საუბრის თემაა ჰუმანიტარული კატასტროფა, რომელიც უკრაინას ომის დასრულების შემდეგ ელოდება...

მშვიდობას, გამძლეობას ვუსურვებ უკრაინელ ხალხს, რომელიც „ცივილიზებულმა მსოფლიომ“ მიატოვა და საკვებით, იარაღით ერთადერთი მიზნით ამარაგებენ: რუსეთს რაც შეიძლება დიდხანს გაუწიონ წინააღმდეგობა, რომ აგრესორი სახელმწიფო მათი სისხლის, სიცოცხლის ხარჯზე ჩამოშალონ. ევროკავშირში დაჩქარებული წესით მიღებაზე უარი უთხრეს, უკრაინის ნატოში გაწევრებაზე ხმას ვერ იღებენ. „ცივილიზებული მსოფლიო“ ასე არ უნდა იქცეოდეს, უკრაინელი ერის გენოციდს თვალს „მშვიდად შეშფოთებული“ არ უნდა ადევნებდეს... – წერს ფეისბუქზე ჟურნალისტი **გიორგი არჩემაშვილი.**

პუტინი ჯოჯოხეთს უახლოვდება!

რუსეთის ჯრეფიდენტს 33 ჭალიერული რუსი ნათელმხილველი ეყავს, მაგრამ...

უკრაინაში მიმდინარე ფართომასშტაბიან ომს ჯერჯერობით დასასრული არ უწერია. მსოფლიოს წამყვანი სამხედრო ექსპერტები აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას უახლოეს შვიდათ დღეში ვარაუდობენ. ყველა თანხმდება, რომ პუტინის არმია საბოლოო გამარჯვებას ვერ მიაღწევს, უკრაინა არ დამარცხდება და დამპყრობელს რუსეთის ტერიტორიაზე დაბრუნება მოუწევს. ეს თამამი სამხედრო პროგნოზი უკრაინელების შეუპოვრობაზე, ბრძოლისუნარიანობასა და თავდადებაზეა დაფუძნებული. „ბლიცკრიგის" ჩავარდნის შემდეგ რუსული სამხედრო ძალების საბრძოლო შემართება ნულოვან დონეს გაუტოლდა. ჯარისკაცს საბრძოლველად მიზანი და იდეა ესაჭიროება, რაც პუტინის „არმადასათვის" ფიზიკურად არ არსებობს, განსხვავებით უკრაინელებისაგან, რომლებიც სამშობლოს, დამოუკიდებლობასა და საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას იცავენ, იმ მოსახლეობას რომელთა ფიზიკური გაჟლეტაც „პუტინისტებმა" ბოლო დღეებში აქტიურად დაიწყეს.

რამდენიმე დღის წინ გამოცემამ „Unian" სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა. უკრაინელთა 57 პროცენტს სჯერა, რომ ორ კვირაში გაიმარჯვებენ, 18 პროცენტი ფიქრობს, რომ რუსებს რვა-ათ დღეში გარეკავენ, 39 პროცენტი რუსების დამარცხებას ერთ-ორ თვეში ვარაუდობს. რაც ყველაზე მთავარია, გამოკითხულთა 92 პროცენტს საბოლოო წარმატებისა სჯერა. ძნელია, ალბათ, ასეთი სულისკვეთების ხალხთან წარმატებაზე იფიქრო და ეს ფაქტორი პუტინისა და მისი გენერლების უმთავრესი შეცდომაა.

უკრაინის მოსახლეობის გარდა, რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ სრულიად მსოფლიოს ნათელმხილველებიც გაერთიანდნენ. ამ პროფესიის ადამიანების შესაძლებლობების შესახებ საკუთარ მოსაზრებას ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ფაქტი, ალბათ, საყურადღებოა. რამდენიმე დღის წინ „უკრაინის ნათელმხილველთა ასოციაციამ" (არსებობს თურმე ასეთი ორგანიზაცია) შემდეგი სახის განცხადება გამოაქვეყნა:

„ჩვენი ორგანიზაცია ყველაფერს იღონებს, რომ ვლადიმირ პუტინი რაც შეიძლება მალე სიცოცხლეს გამოესალმოს. რუსეთის პრეზიდენტს 33 უძლიერესი რუსი ნათელმხილველი იცავს, მაგრამ მის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს ექსტრასენსები და ნათელმხილველები გავერთიანდით. გაგიკვირდებათ და პუტინს ონკოლოგიური დაავადებები გააჩნია. მისი დღეები დათვლილია, მაგრამ არა ავადმყოფობით. ამ სატანის მოციქულს მისივე ახლობლები მოკლავენ. ეს დღე იმაზე მალე დადგება, ვიდრე წარმოგიდგენიათ".

საინტერესო მოსაზრება გაავრცელა ცნობილმა რუსმა ნათელმხილველმა **პაველ გლობამ**: — **„მსოფლიოში მშვიდობა მალე დადგება. მიახლოებით თარიღად მიმდინარე წლის 31 მაისიდან 9 აგვისტომდე დრო მიმაჩნია. მსოფლიო პოლიტიკაში ახალი წარმატებული და საღი იდეის მატარებელი ლიდერი გამოჩნდება. ის ჩვენს პლანეტას საერთო მოწოდების ირგვლივ დარაზმავს და დედამიწის განვითარება ახალ მიმართულებას შეიძენს".** იმედია ყველა ეს წინასწარმეტყველებები რეალობად იქცევა და უკრაინელ ხალხთან ერთად სრულიად მსოფლიო თავისუფლად ამოისუნთქებს.

და რა ხდება ამ დროს მთავარ დამნაშავე ქვეყანაში — რუსეთში? ტერორი და საღი აზრის ძალადობრივი ჩახშობა. სამწუხაროდ ეს მდგომარეობა რუსეთის მოსახლეობის უმეტესობის ბრალია. ერთ საყურადღებო ციტატას მოგიყვანთ, რომელიც სოციალურ ქსელებში ერთმა ჩემმა ნაცნობმა გამოაქვეყნა.

„ნათესავები მყავს მოსკოვში, ექიმები. ამბობენ, რომ მათ ირგვლივ ყველა მხარს უჭერს პუტინს და ამ ომს, ხმა ვერ ამოგვიღიაო. და ეს ექიმებია, სათანადო საურთიერთობო წრით. თუ ექიმებში ასეა, წარმოიდგინეთ, მთლიანად სოციუმში რა მდგომარეობაა. მოკლედ, ამათ არაფერი ეშველება, მხოლოდ სრული დამარცხება-გაჩანაგება მოიყვანს ამათ ჭკუაზე".

კიდევ ერთ ციტატას მოგიყვანთ, რომელიც რუს დეკანოზ **არტემ ვლადიმიროვს** ეკუთვნის და, რომელიც მან ქადაგებისას წარმოთქვა: **„მას შემდეგ, რაც დიადი რუსეთი, ერთიანი და უკვდავი არმიით გაივლის გზას ვლადივოსტოკიდან კალინინგრადამდე, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მალე შემოგვიერთდება მოლდოვა, ყაზახეთი, უბედური უკრაინა, ასევე საქართველო, რომელმაც უარი თქვა მიერთებოდა სანქციებს. ბალტიის ქვეყნებს რაც მოუვა, მიხვდებით, რადგან ისინი არიან ჩართული სლავების წინააღმდეგ იარაღის მიწოდებაში".**

ამის მიუხედავად რუსეთის მოსახლეობის ნაწილი თავისი ქვეყნის უკრაინაში შეჭრას ყოველდღიურად აპროტესტებს. დღე არ გავა მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში რამდენიმე ათასი მომიტინგე არ დააკავონ. მათი ასაკი 6-8 წლიდან 80 წლამდე მერყეობს.

* * *

უკრაინის მხარდაჭერა რუსული შოუ-ბიზნესის არაერთმა წევრმა საჯაროდ დააფიქსირა. ამის გამო ქვეყანაში იდევნებიან და საქმე გასაქცევად გაუხდათ.

წარმოიდგენდით, პუტინის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მეხოტბე, მომღერალი **ოლეგ გაზმანოვი** ისრაელში რომ გადაბარგდებოდა და იქაურ მთავრობას მოქალაქეობის მიღების თხოვნით მიმართავდა. არ ვიცი, რუსეთიდან ეკონომიკური სანქციების გამო გაიქცა, თუ პუტინის პოლიტიკას პროტესტი გამოუცხადა.

ბოლო ინფორმაციით **ალა პუგაჩოვა** და **მაქსიმ გალკინი** ამჟამად დიდ ბრიტანეთში იმყოფებიან და ისრაელის მოქალაქეობის მიღებას ცდილობენ. არადა იყო საუბარი, რომ საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლა სურდათ.

პუგაჩოვას ოჯახის შემდეგ რუსეთი მომღერალმა **ზემფირამ,** მსახიობმა **რენატა ლიტვინოვამ** და ჟურნალისტმა **ქსენია სობჩაკმაც** დატოვეს.

ცნობილი გახდა, რომ რუსეთში „კანონგარეშედ" რამდენიმე მუსიკოსი და ჯგუფი გამოცხადდა. ისინი გარკვეული დროის განმავლობაში ამ ქვეყანაში კონცერტების გამართვას ვერ შეძლებენ. მიზეზი „პროზაულია" — უკრაინის მხარდაჭერა. „შერისხულთა" ჩამონათვალში **პოტაპი, ივან დორნი, მაქს ბარკი, ნასტია, ვერა ბრეჟნევა, ვალერი მელაძე** და ჯგუფი „აკვარიუმი" მოხვდნენ.

ვალერი მელაძე უკვე მოხსნეს ყველა დაგეგმილი კონცერტიდან. რომც არ მოეხსნათ, როგორც მაქსიმ გალკინის შემთხვევაში, მაყურებელმა ბილეთები მასობრივად უკან დააბრუნა. გაუუქმეს გამოსვლები კონსტანტინე მელაძის მეუღლე ვერა ბრეჟნევასაც.

უკრაინაში რუსეთის შეჭრა გააკრიტიკა **ლეონიდ აგუტინისა** და **ანჟელიკა ვარუმის** წყვილმაც. „გთხოვთ, შეაჩერეთ ომი! ყოველი ახალი დღე ნიშნავს რუსი ბიჭების, უკრაინის მოქალაქეების სიკვდილს". - დაწერა სოციალურ ქსელებში ლეონიდ აგუტინმა.

„ჩვენ ნახტომებით ვუახლოვდებით ჯოჯოხეთს", — ეს უკვე ანჟელიკა ვარუმის სიტყვებია.

უკრაინას სოლიდარობა გამოაცხადა მსოფლიოში ცნობილმა არაერთმა ხელოვანმა. მათ შორის ელტონ ჯონიც აღმოჩნდა. **„მე მძულს ის",** — განაცხადა რამდენიმე დღის წინ მუსიკოსმა ვლადიმირ პუტინის შესახებ.

ელტონ ჯონს მიბაძა სახელგანთქმულმა ჯგუფმა „Deep Purple", რომლის წევრებმაც ოფიციალური განცხადება გაავრცელეს. ისინი კატეგორიულად გმობენ რუსეთის სისასტიკეს, უკრაინაში სისხლიან ომს და რუსეთში ყველა სახის კონცერტზე უარს აცხადებენ. საინტერესოა, რომ 2008 წელს, როდესაც კრემლში გამართულ კონცერტზე „გაზპრომის" დაარსებიდან 15 წლისთავი იზეიმეს, სხვებთან ერთად ეს ლეგენდარული ჯგუფიც იმყოფებოდა.

სანტიაგო გაუჩო

ევროკავშირის წევრები რუსეთის ომის თანადამფინანსებლები არიან

„ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის, წიაღისეულით მომარაგებისთვის გადახდილი თანხა, 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყებიდან, 9 მილიარდ ევროზე მეტი იყო, — წერს Twitter-ის საკუთარ გვერდზე ევროპული და უსაფრთხოების პოლიტიკის ავსტრიული ინსტიტუტის ხელმძღვანელი ველინა ჩაკაროვა.

„ნავთობი — 4,9 მლრდ; გაზი — 3,4 მლრდ; ძვანახშირი — 451 მლნ. ევროკავშირის წევრები რუსეთის ომის თანადამფინანსებლები არიან", — წერს ველინა ჩაკაროვა.

მსოფლიო სანქციებმა ომი ვერ შეაჩერა...

„ჩვენ ცივი სისხლი უნდა გამოვაჩინოთ. უნდა ვიმოქმედოთ ჭკვიანურად და მტკიცედ", — აცხადებს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, შარლ მიშელის რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულ ომზე საუბრისას.

„ერთი მხრივ, ეს არის მკაცრი სანქციები, და ჩვენ გავაგრძელებთ ახალი, უპრეცედენტო სანქციების შემუშავებას, რომელმაც პირველი შედეგებიც მოიტანა. მეორე მხრივ კი, საუბარია ევროკავშირის „დე-ენ-ემ"-ზე - ჩვენ გვჯერა, რომ დიალოგი ყოველთვის შესაძლებელი უნდა იყოს. სწორედ ამიტომაცაა, როგორც ხედავთ, რომ პრეზიდენტი მაკრონი, მასთან ერთად, სხვა ლიდერები, როგორ ცდილობენ შეინარჩუნონ დიალოგის ეს ძაფი, რომელიც მყიფე და წვრილია, არსებობს ფრუსტრაცია, იმის გამო, რომ ჩვენ ვხედავთ, რომ ამ დრომდე დაწესებულმა სანქციებმა დეესკალაციამდე და საომარი მოქმედებების შეწყვეტამდე ვერ მიგვიყვანა, მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებები არ იქნა დაცული. თუმცა ჩვენ გვჯერა, რომ უნდა შევინარჩუნოთ დიპლომატიური არხი მათ დასამუხრუჭებლად და, წარმატების მისაღწევად, შესაძლოა, სწორედ ეს გზა იყოს ყველაზე შედეგიანი", — აღნიშნა შარლ მიშელმა.

რუსეთი შესაძლოა, უკრაინაში ქიმიური იარაღის გამოყენებას გეგმავდეს

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი აცხადებს, რომ რუსეთი შესაძლოა, უკრაინაში ქიმიური იარაღის გამოყენებას გეგმავდეს. მისი თქმით, ამგვარი ნაბიჯი ომის დანაშაული იქნება, — ამის შესახებ იენს სტოლტენბერგმა გერმანულ გამოცემა Welt am Sonntag-თან ინტერვიუში განაცხადა.

„ბოლო დღეებში ჩვენ გვესმის აბსურდული განცხადებები ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ლაბორატორიების შესახებ", — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა და აღნიშნა, რომ კრემლი ქმნის ყალბ საბაბს, რათა გაამართლოს ის, რისი გამართლებაც შეუძლებელია.

„ახლა, როდესაც ეს ყალბი განცხადებები გაკეთდა, ჩვენ სიფრთხილე უნდა შევინარჩუნოთ, რადგან შესაძლებელია, რომ რუსეთი თავად გეგმავდეს ქიმიური იარაღის გამოყენებით ოპერაციებს ამ სიცრუის ფაბრიკაციის ქვეშ. ეს ომის დანაშაული იქნება", — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

ომში რუსი საზღვაო ქვეითები ჩაერთვებიან

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით, რუსული საოკუპაციო ჯარები უკრაინასთან ომში 1 500-მდე საზღვაო ქვეითის ჩართვას გეგმავს.

„დანაკარგების გამო, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები ახალ დანაყოფებს აყალიბებენ. კერძოდ, მტრის სარდლობა გეგმავს მე-40 ცალკეული საზღვაო ბრიგადიდან 1 500-მდე ადამიანის ჩართვას", — ნათქვამია უკრაინის გენერალური შტაბის ინფორმაციაში. გარდა ამისა, გენშტაბის ცნობით, რუსული ჯარები აგრძელებენ სამოქალაქო ინფრასტრუქტურის სამხედრო სამიზნეებად გამოყენებას.

„საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების დარღვევით, ოკუპანტები აგრძელებენ დანაყოფებისა და აღჭურვილობის განლაგებას მაღალი რისკის ობიექტებზე, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას, უკრაინის შეიარაღებული ძალების უნიფორმაში გადაცმულები ახდენენ ადგილობრივი მცხოვრებლების პირადი ნივთების უკანონო შემოწმებასა და ჩხრეკას. მტრის ჯარების მორალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა კვლავ უარესდება. იზრდება დეზერტირობისა და ბრძანებების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევები", — ნათქვამია უკრაინის შეიარაღებული ძალების ინფორმაციაში.

გარდა ამისა, არსებული ცნობებით, ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებში უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დროს დაშავებული დიდი რაოდენობით რუსი სამხედრო მოსამსახურე მკურნალობს. მათ არ აქვთ საკმარისი ოდენობის სისხლი ქირურგიული ოპერაციებისთვის. უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით, გამოიყენება ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის დაგროვილი რეზერვები — ამ რეზერვების დაახლოებით 2/3 გადამისამართებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო პერსონალის საჭიროებებზე.

ზელენსკის განცხადებით, რუსეთთან ომში 1300 უკრაინელი სამხედრო დაიღუპა. უკრაინის პრეზიდენტმა ქვეყნის ჯარში დანაკარგის შესახებ პირველად ისაუბრა.

მისივე თქმით, მოწინააღმდეგემ 16 დღის განმავლობაში 12 000-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა.

◎ ოვალური გურთი

რუმინეთიც დავაჩოქეთ

ლობჟანიძე, შარიქაძე, თოდუა, ტაბუცაძე — ეს ის კვარტეტია, ბუქარესტის „ტრიუმფის“ სტადიონზე რუმინელებს 4 ლელო რომ დაუდო, ხოლო აბჟანდაძემ ზუსტი გარდასახვებით პარტნიორთა გარჯა ლოგიკურ დასასრულამდე რომ მიიყვანა — 26:23.

მას შემდეგ, რაც რაგბი ევროპამ ტურნირიდან მოკვეთილ რუსეთთან გამარჯვება უბრძოლველად მოგვანიჭა, 2023 წლის მსოფლიო თასის გათამაშების საგზური ვადამდე მოვიპოვეთ, მაგრამ რუმინეთში ანთიმოზ ივერიელის სახელობის ტრადიციული ჯილდოს ბედიც წყდებოდა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ორწლიან ევროპის თასზე გამარჯვების შესაძლებლობაც უნდა შეგვენარჩუნებინა. როგორც შედეგი მოწმობს, „ბორჯღალოსნებმა“ დასახულ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი, თუმცა შესვენების შემდეგ ცოტათი გვანერვიულეს კიდეც.

ტრავმამოშუშებული თოდუას, ნინიაშვილისა და კვესელაძის მწყობრში დაბრუნება ფეერიული საწყისი 20 წუთით აღინიშნა — 21:6, მაგრამ „მუხებმა“ სნაიპერის მელინტესა და მოლში მიღწეული უპირატესობის ძალისხმევით მატჩს ინტრიგა დაუბრუნეს და კაცმა არ იცის, როგორ განვითარდებოდა დასკვნითი მოვლენები, უელსელ მსაჯ ბრეისბის რამდენიმე ორმხრივად სადავო გადაწყვეტილება რომ არ მიეღო.

ასეა თუ ისე, **ლევან მაისაშვილის** შეგირდებმა კარპატებიდან ძვირფასი ქულები წამოიღეს და 20 მარტს 18 საათზე „დინამო არენაზე“ ესპანელებთან სატიტულო ჯახს გამართავენ. დავძენთ, რომ უკვე გაირკვა ჯგუფი, სადაც გაისად საფრანგეთში მსოფლიო თასზე ვითამაშებთ: უელსი, ავსტრალია, ფიჯი და საკონტინენტთაშორისო პლეი-ოფის გამარჯვებული.

◎ ხალიჩაზე

ბულგარული „ოქრო-ვერცხლი“

თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატზე გიორგი ელბაქიძე ჩემპიონი გახდა. გარდა ამისა, საქართველოს ნაკრებმა პლოვდივში ორი ვერცხლის მედალიც მოიპოვა, ხოლო დასკვნით დღეს ერთი მოჭიდავე ოქროსთვის და სამი ბრინჯაოსთვის იბრძოლებს.

70 კგ წონით კატეგორიაში **გიორგი ელბაქიძემ** იტალიელი ჯანლუკა კოლეტი (10:0), ავსტრიელი ბენედიკტ ჰუბერი (12:1) და მოლდოველი ნიკოლაუ გრაჰმეზი (9:7) დაამარცხა, ხოლო ფინალში სომეხ ნარეკ არუთინიანს 6:5 აჯობა. აღსანიშნავია, რომ ის ფინალში 0:5-ს აგებდა, მაგრამ საოცარი ბრძოლა სათავისოდ დაასრულა.

57 კგ წონით კატეგორიაში **გიორგი გეგელაშვილმა** ვერცხლის მედალი მოიხვეჭა. მან სომეხი ედიკ არუთინიანი 9:4, ჩრდილოეთ მაკედონიელი აიდ სალიჰასი 11:0 და თურქი იუსუფ დემირი 10:0 დაამარცხა, ფინალში კი გერმანელ ჰორსტ ლერთან ბოლო ქულის წესით წააგო (2:2).

ასევე ვერცხლის მედალი დაიმსახურა **ევსემ შველიძემ** (79 კგ), რომელმაც ფინალამდე გერმანელ კონსტანტინ შაიბლს 6:2, აზერბაიჯანელ აშრაფ აშიროვს 9:8 და ბულგარელ ოქთაი ჰასანს 3:1 აჯობა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა ბერძენ გეორგიოს კუკიმციდისთან 9:16 წააგო.

97 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლამდე ერთადერთი ნაბიჯი დააკლდა **რივერი მწითურს,** რომელმაც მედლისთვის ბრძოლაში უნგრელ რიჩარდ ვეგთან 4:7 წააგო და კვარცხლბეკს მიღმა დარჩა.

◎ დოჰიოზე

მოგებით დაიწყო

ჰარუ ბაშოზე გუშინ პირველი ორთაბრძოლა ჩაატარა ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ. ტოჩინოშინის მეტოქე მე-15 მაეგაშირა აკუა იყო, რომელიც ოშიდაშის ილეთით დაამარცხა.

ჩვენებურმა მეტოქეს ძალიან ადვილად აჯობა. მას შეტაკებისთანავე ფეხი უხერხულად დაუცდა და დოჰიოზე დაეცა. ეს წყვილის მე-3 დაპირისპირება იყო და „ტოჩიმ“ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა მოიპოვა — 2:1. ლევანს მარტის ბაშოზე დადებითი ბალანსისთვის კიდევ 7 მოგება სჭირდება. მისი მომდევნო მეტოქე მე-16 მაეგაშირა ნიშიკიგი იქნება, რომელსაც აქამდე 7-ჯერ შეხვდა და 5 ორთაბრძოლა თავის სასარგებლოდ დასრულა, 2-ჯერ კი თავად დამარცხდა.

◎ კორტზე

შოტლანდიელი - უკრაინელთათვის

ინდიან უელსის მასტერსზე თამაშის წინ მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ენდი მარეიმ მრავალი კოლეგის მსგავსად გამოაცხადა, რომ სეზონის დასრულებამდე გასამართავ ტურნირებზე გამომუშავებულ თანხას მთლიანად უკრაინის თანადგომას მოახმარს.

უიმბლდონის ორგზისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა წლეულს ჯერჯერობით „მხოლოდ“ 200 ათასი გირვანქა სტერლინგი ჩაიჯიბა და, სავარაუდოდ, ფინიშამდე ნახევარ მილიონს უნდა უწიოს. შოტლანდიელის სოლიდარობა მხოლოდ ფულადი გზავნილებით არ შემოიფარგლება — იგი იუნისეფთან ერთიანდება და პირადად ჩაერთვება უკრაინელ ბავშვთა დახმარების პროცესში:

„უკრაინაში ომის გამო 7,5 მილიონ მოზარდს საფრთხე ემუქრება. სწორედ ამიტომ ვთანამშრომლობ იუნისეფთან, რათა მათ მივაწოდო მედიკამენტები და ჩვილთა განვითარებისთვის საჭირო კომპლექტები. მათ არ უნდა შეწყვიტონ სწავლა, ამიტომაც იუნისეფი მუშაობს დევნილ ბავშვთა განათლების უზრუნველსაყოფად“.

ამასობაში ამერიკულ კორტზე დღეს პირველ ბრძოლას გამართავს შარშანდელი ფინალისტი **ნიკოლოზ ბასილაშვილი,** ვისაც რევანშის აღების ჩინებული შანსი აქვს ბრიტანელ კამერონ ნორისთან. აღსანიშნავია, რომ ჩვენი თანამემამულე პირველ წრეში წილისყრით თავისუფალი იყო, ხოლო გუშინ იტალიელი მეტოქე ფაბიო ფონინი არ გამოუცხადდა სათამაშოდ. რაც შეეხება მარეის, მან სტარტზე იაპონელ ტარო დანიელს 1:6, 6:4, 6:2 სძლია და მე-18 ჩოგბურთელი გახდა, ვისაც კარიერაში 700 მოგება დაუგროვდა

მარად სამარცხვინო ლაშქრობები

ანტიკური ხანის დიდი ბერძენი ისტორიკოსი ჰიპოკრატე გვამცნობს, მაღალი ცივილიზაციის და მრავალმხრივ აყვავებულ კოლხეთს, შემოესივნენ ველური მოდგმის სკვითები, დაუნდობლად გაანადგურეს, ამოჟლიტეს ქვეყანა და რამდენიმე საუკუნის ცხოვრება-სიცოცხლე მსოფლიოს წამყვანი ერთ-ერთი ცივილიზაციისა ჩააქრესო...



მერმე გადის ასეული წლები და უკვე რუსეთის დამპყრობი იმპერია ანადგურებს თავისუფალ სახელმწიფო საქართველოს, ბარბაროსულად მიიერთებს და ყოველმხრივ ქვეყნის ეროვნული ხასიათის, კულტურის, ენის და მენტალიტეტის წაშლასაც შეუდგება, რომელიც, ეს პროცესი ორასი წელი გაგრძელდა. შემდგომ გადის დრო და გარკვეულ ჟამს მეფის რუსეთის იმპერია დაეცა — მარქსისტულმა რევოლუციამ დაშალა და უღმრთო ხალხთა ქვეყნად აქცია. მაგ. არეულობის პერიოდში საქართველომ როგორც იქნა გამოიხსნა გაუბედურებული თავი, კოლონიური ბნელეთიდან და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, დაიწყო ერის და ქვეყნის კვლავ აღორძინება. სამი გაზაფხული ეშმაკეულად აცალეს არსებობა და ახალი იდეოლოგიით და პოლიტიკური სისტემით, მეზობელი ქვეყნების დამპყრობი, ხატთშემბილწავი, ეკლესიების დამანგრეველი, უღმრთო სატანისმიერი ლენინი გზავნის ჯარს წითელი არმიისა, ქართველი სარდლის წინამძღოლობით და



მონღოლური მიდგომით დაშლის და დაანგრევს ჩვენს სანატრელ ეროვნულ დამოუკიდებლობას. რის შემდგომ რამდენიმე ათეული წელი სამარცხვინო მარქსისტებად გვაქციეს და ეროვნული ნიჭის და ზნეობის განადგურებას მიყვნენ, დახვრიტეს ნიჭიერი ქართველი მეცნიერნი და ხელოვანნი, რითაც ქვეყანა ბნელმა მოიცვა.

დრო თავისას აკეთებს, მადლმა კოსმიურმა ისევ გადმოგვხედა. უფლის მეოხებით და უდიდესი, მაღალი ზნეობის პატრიოტის ბატონი ზვიად გამსახურდიასა და სულით წმიდა მერაბ კოსტავას წინამძღოლობით კვლავ გვეახლა სანატრელი თავისუფლება, უნიჭო პოლიტიკოსთა მეოხებით დაიშალა წითელი იმპერია და მიწა-პლანეტამ ამოისუნთქა. თითქოსდა ჩვენმა ზეციურმა ყვავილმა საამოდ იფეთქა. კიდევ ერთხელ ამოისუნთქა ქართველმა ერმა, უძველესმა ქვეყანამ, მაგრამ სატანის საათის ისარმა უკუღმა იტრიალა და 2008 წელს ჩრდილოეთიდან კვლავ დაირაზმა უზნეობით გაუმაძღარი რუსეთი და ჩვენივე სისხლის მდინარეში გვაცურავეს. დღეს ნახევრად ოკუპირებულები სულს ვღაფავთ — **„რა არის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია“** (მორგენშტეინი).

ქვეყნიერების და აღმსარებელთა განგებავ — საოცრებავ, მესამე ათასწლეულის აზროვნებისთვის მიუკარებავ და საკვირველებავ, 2008 წელს დამპყრობლივი ჩვენშივე ჩატარებული გენოციდით — იგივე გეგმა განწყობილებით, ამჟამად მსოფლიოს ხალხთა სამწუხაროდ, შეესივნენ მშვიდობის მოყვარე უკრაინას, ნადგურდება ქვეყანა და სისხლისგან იცლება, ულამაზესი დამოუკიდებელი ორმოცდაოთხ მილიონიანი ერი მშვენიერი, ნიჭიერი და უკეთილშობილესი მშვიდობისმოყვარე მშრომელი ხალხით, არ ინდობენ ანგელოზ ბავშვებსაც.

2008 წლის ქართული უძველესი სულის წამგლეჯი და 2022 წლის უკრაინელი დღევანდელი ყოველთ წამლეკავი ტრაგედია, თითქმის ერთი და იგივე ბარბაროსული გეგმის და სატანური განწყობილებისაა, მიზანი? — შექმნა ახალი რუსეთის სისხლიანი იმპერიისა.

აქვე ჩვენს გვერდზე გთავაზობთ ჩემს მიერ 2008 წელს ქართული უმძიმესი ისტორიის ამსახველ ფერწერულ სურათებს, სადაც ტყუპისცალივით მსგავსებაა, უკრაინა — ქართული ეროვნული ფიზიკურ-სულიერი განადგურებისა. **„ომიდან გამარჯვებით მობრუნებულ ჯარს, ძაღებით უნდა შევეგებოთ“** (ლაო ძი).

ოდითგანვე ყოველი ბოროტების იმპერიები, შექმნილა თავისუფალ ხალხთა დაპყრობებით და მათი დამონებით, მერმე გაუმაძღრობის მეშვეობით მოყვებოდა სწრაფვა მსოფლიოს ბატონობისკენ, რასაც თან სდევდა, სისხლისღვრასთან ერთად უდანაშაულო ერთა ფიზიკური სიკვდილიც და გაჩნდა პლანეტაზე ზოგიერთი მხოლოდ ისტორიული ხსენება გამქრალ ერებად, მკვდარ ენებად. აი, შედეგი ყოველი ჭეშმარიტების წინააღმდეგ სწრაფვისა, აქ უთუოდ ყველაზე დიდი შხამიანი ვარსკვლავის ძალა — სხივი და უძლიერესი მიზიდულობა მოქმედებს მათზე, რის წინაშეც ნებისმიერი აღმსარებლობა უძლურია. ეს ქვეყნის უბედურებაა, არ ყოფილა საშველი, ყოველმა ეპოქამ, მრავალ სიკეთესთან ერთად პირსისხლიანი აგრესორიც უნდა შვას თურმე...

შესაძლებელია ამ შემთხვევაში ქვეყნიერების მარადიულ გარდუვალობასთან გვქონდეს საქმე, ამიტომ პლანეტა მიწის სიკეთე უნდა გამთლიანდეს და აღიკვეთოს მაგდაგვარი უარყოფით თვისებიანი ვარსკვლავთ ქმედებანი ჩვენივ სივრცეში. სუსტი ნებისყოფის და კაენისმიერ ერთა უზნეობის მხოლოდ კეთილ ხალხთა — ქვეყნების გაერთიანებას შეუძლია მათი დაშლა-ალაგმვა და იზოლირება. ასე ხდებოდა ოდითგან და ასე იქნება მარადის, კეთილ ვარსკვლავთა გაერთიანებამ უნდა სძლიოს შხამიან პლანეტათა ზემოქმედებას. ეს უკვე პლანეტარული ძალთა ქმედებაა უსასრულო სივრცეში და დროში. ჩვენ მუდმივად უნდა ვეძიოთ კეთილი სახეთარსებობა, რადგან მათი ზეადამიანური გაერთიანება გვიხსნის მხოლოდ.



რეზო ადამია,
მწერალ-მხატვარი
2022 წ. 7 მარტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲬᲧᲔᲑᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის კმ27+840-კმ35+500 (საგარეჯოს შემოვლითი გზა) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოექცა მოქალაქეების სოლომონ მაისურაძის (პ/ნ 36001006418), გიორგი მაისურაძის (პ/ნ 36001000824), ელენე გაბროშვილის (პ/ნ 36001048364), მათიკო მაისურაძის (პ/ნ 36001021862) და ნინო მაისურაძის (პ/ნ 36001005870) თანასაკუთრებაში არსებული, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარძეულში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთი (ს/კ 55.14.59.000.201) ფართობით - 1000 კვ.მ. (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 03 მარტის №1-1/92 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების სოლომონ მაისურაძის (პ/ნ 36001006418), გიორგი მაისურაძის (პ/ნ 36001000824), ელენე გაბროშვილის (პ/ნ 36001048364), მათიკო მაისურაძის (პ/ნ 36001021862) და ნინო მაისურაძის (პ/ნ 36001005870) თანასაკუთრებაში არსებულ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარძეულში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიან მიწის ნაკვეთზე (ს/კ 55.14.59.000.201) ფართობით - 1000 კვ.მ. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების სოლომონ მაისურაძის (პ/ნ 36001006418), გიორგი მაისურაძის (პ/ნ 36001000824), ელენე გაბროშვილის (პ/ნ 36001048364), მათიკო მაისურაძის (პ/ნ 36001021862) და ნინო მაისურაძის (პ/ნ 36001005870) თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲬᲧᲔᲑᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის კმ27+840-კმ35+500 (საგარეჯოს შემოვლითი გზა) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოექცა მოქალაქეების გიორგი კოტორაშვილის (პ/ნ 36001019937), თეიმურაზი კოტორაშვილის (პ/ნ 36001003915), ნინო კოტორაშვილის (პ/ნ 36001019924) და მარინე კოტორაშვილის (პ/ნ 36001025492) თანასაკუთრებაში არსებული, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარძეულში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1 060 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთის ს/კ 55.14.53.136 (ახალი ს/კ 55.14.53.000.136) ნაწილი - 279 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 03 მარტის №1-1/92 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების გიორგი კოტორაშვილის (პ/ნ 36001019937), თეიმურაზი კოტორაშვილის (პ/ნ 36001003915), ნინო კოტორაშვილის (პ/ნ 36001019924) და მარინე კოტორაშვილის (პ/ნ 36001025492) თანასაკუთრებაში არსებულ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარძეულში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1060 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთის ს/კ 55.14.53.136 (ახალი ს/კ 55.14.53.000.136) ნაწილზე - 279 კვ. მეტრზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების გიორგი კოტორაშვილის (პ/ნ 36001019937), თეიმურაზი კოტორაშვილის (პ/ნ 36001003915), ნინო კოტორაშვილის (პ/ნ 36001019924) და მარინე კოტორაშვილის (პ/ნ 36001025492) თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲬᲧᲔᲑᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040- კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ომარ ჩიტიას (პ/ნ 01001084325) საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.655) 6000 კვ.მ ფართის ნაწილი - 466 კვ.მ. (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 03 მარტის №1-1/92 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე ომარ ჩიტიას (პ/ნ 01001084325) საკუთრებაში არსებულ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.655) 6000 კვ.მ ფართის ნაწილზე - 466 კვ.მ.-ზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქე ომარ ჩიტიას (პ/ნ 01001084325) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲬᲧᲔᲑᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040- კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ვახტანგ მაჭავარიანის (პ/ნ 01008008865) საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.643) მთლიანი ფართობი - 1500 კვ.მ. (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 03 მარტის №1-1/92 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე ვახტანგ მაჭავარიანის (პ/ნ 01008008865) საკუთრებაში არსებულ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.28.643) მთლიან ფართობზე - 1500 კვ.მ.-ზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქე ვახტანგ მაჭავარიანის (პ/ნ 01008008865) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის კმ27+840-კმ35+500 (საგარეჯოს შემოვლითი გზა) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოექცა მოქალაქეების ვახტანგი სიბოშვილის (პ/ნ 36001034853), ზურაბი სიბოშვილის (პ/ნ 36001002489) და მარიამი სიბოშვილის (პ/ნ 36001048026) თანასაკუთრებაში არსებული, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარძეულში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1000 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთის (ს/კ 55.14.53.000.221) ნაწილი - 339 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

